



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-344/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ.
„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED)
დამკვირვებლის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 17 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა). ი. პ. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) ხელმძღვანელის მიხეილ ბენიძის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 17 ოქტომბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №4167) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 12 აგვისტოს №02-058/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - **№49 ნინო გოგოლაშვილს**

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი